ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 280

2 ივლისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ. 12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" №ე-484-6-23873 და №ე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127[2] მუხლის მე-2 პუნქტის, "თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ - გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ. 12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" №ე-484-6-23873 და №ე-484-7-23874 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №21.812.923 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და გიორგი ქოჩიაშვილს (პ/ნ. 12001025934) შორის 2019 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" №ე-484-6-23873 და №ე-484-7-23874 ხელშეკრულებების „გ" პუნქტებით გათვალისწინებული პირობები - „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.807 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა" და „მოთხოვნის შემთხვევაში 81.21.06.806 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე